პროლეტარიანო ყველა ეროვნებისა, შეერთდით!

კომუნისტი

1980 წელი ოთხშაბათი 5 მარტი № 54 (17697) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა



სურათზე: სხდომის დროს.

საკადრ-საქინფორმის ტელეფოტო.

4 მარტს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მორიგი სხდომა.

სხდომაზე განიხილეს მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შედეგების საკითხი. ინფორმაცია გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა. მან აღნიშნა, რომ არჩევნები ყველგან მოეწყო ორგანიზებულად და სავსებით შეესაბამებოდა სსრ კავშირის კონსტიტუციას, მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებსა და არჩევნების შესახებ ახალ კანონებს. საბჭოთა ხალხმა ერთსულოვნად გამოხატა, რომ მხარს უჭერს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სამშინაო და საგარეო პოლიტიკას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ლენინური ურსს, რომლის მიზანია სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარება, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესება, ხალხთა მშვიდობისა და თანამშრომლობის განმტკიცება.

არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 176 მილიონზე მეტმა ამომრჩეველმა, ანუ ქვეყნის პრაქტიკულად მთელმა მოზრდილმა მოსახლეობამ. მათგან 99,9 პროცენტმა ხმა მისცა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოში, ადგილობრივ საბჭოებში სულ არჩეულია 2.285 ათასი დეპუტატი, რომელთა 68,6 პროცენტი მუშები და კოლმეურნეები არიან. სკკპ წევრები და წევრობის კანდიდატები შეადგენენ დეპუტატთა 43,2 პროცენტს, უპარტიოები — 56,8 პროცენტს. დეპუტატთა თითქმის ნახევარი ქალები არიან.

არჩევნებს რომ შეეხო, ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა:

არჩევნების შედეგები გვახარებს, მოწონებულია დიდი მუშაობა, რომელსაც თითქმის ხუთი წლის მანძილზე ეწეოდნენ პარტიული ორგანიზაციები, საბჭოები, მილიონობით დეპუტატი, მთელი ჩვენი საბჭოთა სახელმწიფო.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს საერთო-სახალხო მხარდაჭერას. ჩვენ უნდა გადავწყვეტოთ რთული სამეურნეო ამოცანები, რომელთა შესახებ ლაპარაკი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე. ძნელი პრობლემები წამოიჭრა საერთაშორისო ვითარების გამწვავებასთან დაკავშირებითაც. მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ სიძნელეებს გადავლახავთ. ამის გარანტია პარტიისა და ხალხის ერთვერი ერთიანობა.

კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკი „ერთი საათის კოადიცია“ როდია, რომელიც ასე ახასიათებს ბურჟუაზიელ არჩევნებს, იგი მუდამ და სულ უფრო ფართო საფუძველზე მოქმედებს. ჩვენთვის კვლავ საკვანძოა შრომის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების, სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების, საგეგმო დავალებათა უთუო შესრულების ამოცანები. ამ მიმართულებით ბევრი რამ უნდა გაკეთოს საბჭოების ახალმა შემადგენლობამ.

და ამ საქმეში, ამხანაგებო, გასაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ჩვენი სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი სრულყოფა. სახალხო ინიციატივისათვის მაქსიმალური ასპარეზის გადაშლა, ახლის, მოწინავის მხარდაჭერა ყველა დონეზე — სადაბო და რაიონული საბჭოებით დაწყებული და სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებით დამთავრებული, რუტინის შეუწყნარებლობა — ყოველივე ეს წესად უნდა იქცეს. დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს საზოგადოებაში შემოქმედებითი ატმოსფეროს სტიმულირებას.

თ.ითოეული საბჭოს მუშაობა უნდა წარიმართოს მოსახლეობასთან მჭიდრო კონტაქტით, ფართო საზოგადოებრიობაზე დაყრდნობით. არჩევნებით, ლენინის იუბილეთი გამოწვეული მასების პოლიტიკური და შრომითი აქტიურობა არა მარტო უნდა შევინარჩუნოთ, არამედ კიდეც გავაორკეკეთ და გავასამეკეთ.

ცხოვრება დაბეჯითებით მოითხოვს საბჭოების კონტროლის გაძლიერებას ყველა უბანზე. კონტროლმა ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფო, საგეგმო დისციპლინის განმტკიცებას, ყველა თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის ამაღლებას. საქმე, რასაკვირველია, იმას კი არ ეხება, რომ მარტო აღვნიშნოთ ნაკლოვანებანი, არამედ იმასაც, რომ მტკიცედ აღმოვფხვრათ ისინი. ერთი სიტყვით, კონტროლის, ისევე როგორც სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობა, უწინარეს ყოვლისა, მისი საბოლოო შედეგებით უნდა შეფასდეს.

საბჭოების ახალ შემადგენლობას, თქვა დასასრულ ლ. ი. ბრეჟნევმა, იკისრება დიდი პასუხისმგებლობა — იყოს სახელმწიფო ხომალდის მესაჭე პარტიის XXVI ყრილობისათვის მზადების პერიოდში, ხოლო შემდეგ ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების პერიოდში. ეს იქნება დრო, როცა ჩვენ მივაღწევთ კიდევ ახალ სიფეხურს კომუნიზმისკენ წინსვლის გზაზე. ეჭვი არ მეპარება, რომ საბჭოები, ორ მილიონზე მეტი ჩვენი დეპუტატი კარგად შეასრულებენ თავიანთ სამუშაოს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მხედველობაში მიიღო მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების ცნობა მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შედეგების შესახებ და თვითონ დადგენილებით საბჭოებსა და მათს აღმასკომებს დაავალა უზრუნველყონ საარჩევნო კამპანიის პერიოდში მიღწეული საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივების პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრონ წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებას, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფას, საგეგმო დავალებების შესრულებისა და კანონების დაცვისადმი კონტროლის გაძლიერებას, სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის **ნ. ა. ტიხონოვის** ინფორმაცია **სსრ კავშირის** უმაღლესი საბჭოს პალატების და მუდმივი კომისიების და დეპუტატების იმ წინადადებებისა და შენიშვნების განხილვის შედეგების შესახებ, რომლებიც შეიტანეს სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიაზე 1980 წლის გეგმისა და ბიუჯეტის განხილვისას. ინფორმაციაში აღინიშნა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დავალებათა შესრულებისათვის მთავრობა ახორციელებს მუდმივი კომისიებისა და დეპუტატების წინადადებებისა და შენიშვნების რეალიზაციისათვის საჭირო ღონისძიებებს. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების მთავარი ყურადღება მიეპყრო ქვეყნის ეკონომიკის განვითარებს, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კულტურის განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხების გადაწყვეტას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სათბობ-ენერგეტიკული პრობლემის გადაჭრას. რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის ძირეულ გაუმჯობესებას, საქმის მდგომარეობას კაპიტალურ მშენებლობაში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობის უზრუნველყოფას, პარტიის მიერ შემუშავებული სოციალური პროგრამის განხორციელებას, უწინარეს ყოვლისა მშრომელთა სამინაო პირობების შემდგომი გაუმჯობესების დარგში, ქალთა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის გაძლიერებას. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს და გადაწყვიტეს დიდი სამამულო ომის მონაწილეთა მატერიალური პირობების გაუმჯობესების საკითხები. თანმიმდევრულად ხორცელდება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებები ბაგა-გმის გაუმჯობესებისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, შრომის ანაზღაურების განმტკიცებისა და კადრების დენადობის შემცირების, უმნიშვნელოვანესი დარგების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, დაჩქარების, ბუნების დაცვის გაძლიერების, აგრეთვე მართვის გაუმჯობესების საკითხები. უკანასკნელ ხანს დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებია მიღებული ქვეყნის მთელი რიგი რაიონების, კერძოდ, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის, ყაზახეთის, აგრეთვე ჩრდილოეთ ეროვნებათა ბინადრობის რაიონების დაჩქარებული ეკონომიკური განვითარების თაობაზე.

შეაჯამა რა ამ საკითხის განხილვის შედეგები, **ლ. ი. ბრეჟნევმა** თქვა:

ჩვენ მეოთხედ ვისმენთ პრეზიდიუმის სხდომაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ინფორმაციას ამ საკითხებზე. კონსტიტუციის მიღების შემდეგ მთავრობის ასეთი მოხსენებანი მტკიცედ დამკვიდრდა ჩვენს პრაქტიკაში. ეს კარგია.

ცნობებიდან და მასალებიდან, რომლებიც ჩვენ მივიღეთ, შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მთავრობა საჭირო მუშაობას ეწევა დეპუტატთა და მუდმივ კომისიათა წინადადებების რეალიზაციისათვის. ეს ხელს გვიწყობს ბევრი საკითხის საუკეთესო გადაწყვეტის პოვნაში. ჩვენ განუხრელად ვასრულებთ ლენინის დანაბარებს — საბჭოთა დეპუტატები არა მარტო იღებენ კანონებს, არამედ აქტიურადაც მონაწილეობენ სახელმწიფო მართვა-გამგეობაში.

და კიდევ ერთი რამ.

დეპუტატთა გამოსვლებში სესიაზე და მუდმივ კომისიებში ჩანს მათი დიდი ზრუნვა ეკონომიკის განვითარებისათვის, თანაც მთავარი ყურადღება საკსებით სამართლიანად ეთმობა სამეურნეო ეფექტიანობის საკითხებს. ამ პრობლემას დეპუტატები უდგებიან ფართო პოზიციებიდან: მხედველობაში იღებენ ეკონომიკურ, სოციალურ და თვით ფსიქოლოგიურ ფაქტორებს. ამ უმნიშვნელოვანესი საერთო-სახელმწიფო პრობლემისადმი ასეთი მიდგომა ერთადერთი სწორი და გამართლებული.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ინფორმაციას ამ საკითხებზე. კონსტიტუციის მიღების შემდეგ მთავრობის ასეთი მოხსენებანი მტკიცედ დამკვიდრდა ჩვენს პრაქტიკაში. ეს კარგია.

ცნობებიდან და მასალებიდან, რომლებიც ჩვენ მივიღეთ, შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მთავრობა საჭირო მუშაობას ეწევა დეპუტატთა და მუდმივ კომისიათა წინადადებების რეალიზაციისათვის. ეს ხელს გვიწყობს ბევრი საკითხის საუკეთესო გადაწყვეტის პოვნაში. ჩვენ განუხრელად ვასრულებთ ლენინის დანაბარებს — საბჭოთა დეპუტატები არა მარტო იღებენ კანონებს, არამედ აქტიურადაც მონაწილეობენ სახელმწიფო მართვა-გამგეობაში.

ლ. ი. ბრეჟნევმა შეაფასა ბრძანებულებაში შესატანი ცვლილებანი და დამატებანი და აღნიშნა, რომ ისინი ხელს შეუწყობენ სოციალისტური კანონიერებისა და დემოკრატიის შემდგომ განმტკიცებას. თითოეული საბჭოთა ადამიანი, თქვა მან, დარწმუნებულია უნდა იყოს, რომ ნებისმიერ დასაბუთებულ წინადადებას, განცხადებას ან საჩივარს აუცილებლად განიხილავენ და სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებენ.

ამ ბოლო წლებში ბევრი რამ გაკეთდა წერილებზე მუშაობის გასაუმჯობესებლად. მაგრამ ჯერ კიდევ მთლიანად არ აღმოფხვრილა ფორმალიზმი, საქმის გაჭიანურება, ადამიანთა საჩივრებისადმი დაუდევარი დამოკიდებულება. ხშირად ამის გამო არ აკმაყოფილებენ მშრომელთა კანონიერ საჭიროებებს. როგორც იცით, ამის შესახებ მწვავე სკა-ბაასი გვქონდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე.

მაქსიმალური ყურადღებისა, მაქსიმალური ყურადღება, მაქსიმალური მზრუნველობა ადამიანებისათვის — ამას მოითხოვს პარტია ყველა ჩვენი დაწესებულებისა და თანამდებობის პირისაგან.

პრეზიდიუმმა ერთხმად დაამტკიცა ბრძანებულება „მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ“ ახალი რედაქციით. მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს დაევალათ შეუსაბამონ რესპუბლიკური კანონმდებლობა საერთო-საკავშირო აქტს.

შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი აზერბაიჯანისა და ესტონეთის სს რესპუბლიკებში ადგილობრივი რესურსების ხარჯზე მასობრივი მოთხოვნის საქონლის წარმოების ზრდისათვის გაწეული მუშაობის შესახებ. ინფორმაცია გააკეთეს აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ა. ი. იბრაგიმოვმა** და ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ვ. ი. კლაუსონმა.** მათ ილაპარაკეს მუშაობაზე, რომელიც რესპუბლიკებში წარმოების სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გასაადიდებლად, ამ დარგის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესასრულებლად. რესპუბლიკური ორგანოების მუშაობის შემმოწმებელი პალატების სახალხო მოხმარების საქონლისა და ვაჭრობის კომისიების და სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის სხდომაზე გამოვიდნენ კავშირის საბჭოს კომისიის თავმჯდომარე **ვ. ი. ორლოვი** და სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე **ა. მ. შკოლნიკოვი.** მათ აღნიშნეს რესპუბლიკების ღონისძიებანი მასობრივი მოთხოვნის საქონლით მოსახლეობის დაკმაყოფილების საქმეში და ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ ჯერ კიდევ სრულად გამოიყენება ადგილობრივი ნედლეულის რესურსები და სამრეწველო ნარჩენები აზერბაიჯანისა და ესტონეთის საბჭოები სრულად არ ახორციელებენ სხვადასხვა საოწყებო დაქვემდებარების საწარმო-ორგანიზაციათა მიერ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისათვის გაწეული საქმიანობის საჭირო კოორდინაციას. ბევრი სამრეწველო საწარმოს ხელმძღვანელი არ იჩენს სათანადო ინიციატივას. იმის მაგივრად, რომ ადგილებზე გამოძებნონ ნედლეული და სამრეწველო ნარჩენები, ისინი უმარტივესი ნაწარმის დამზადებასაც კი ფონდირებული მასალით ამჯობინებენ. ხაზგასმით აღინიშნა, რომ რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა ჯეროვნად უნდა მოჰკითხონ თანამდებობის პირებს, რომლებიც პასუხს აგებენ ამ საკითხების პრაქტიკული გადაწყვეტისათვის, განსაკრეველონ კონკრეტული ღონისძიებანი სამინისტროთა მუშაობის კოორდინაციისათვის ადგილობრივ სახეობათა ნედლეულისა და სამრეწველო ნარჩენების მაქსიმალური გამოყენების მიზნით უზრუნველყონ უფრო ქმედითი კონტროლი.

საკითხის განხილვისას აღინიშნა, რომ მატერიალური და შრომითი რესურსების შეშმარიტად მზრუნველი, კომპლექსური გამოყენება მასობრივი მოთხოვნის საქონლის გამოშვების გადიდების მდიდარ შესაძლებლობებს შეიცავს. ამ მიზნით უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ კიდევ უფრო დაიხვეწოს სამეურნეო მექანიზმი, ამაოდ დეს ასეთი პროდუქციის მწარმოებელთა მატერიალური დაინტერესება. მტკიცედ დავნერგოთ მოწინავე გამოცდილება, აღმოვფხვრათ არსებული ნაკლოვანებანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღოდა დადგენილებაში აზერბაიჯანისა და ესტონეთის სს რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს დაავალა უზრუნველყონ, რომ გააქტიურდეს რესპუბლიკური და ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების მუშაობა ადგილობრივი რესურსებისა და შესაძლებლობების გამოყენების გზით მასობრივი მოთხოვნის საქონლის წარმოების გასაადიდებლად, ამ საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. დასახულია წინადადება, რომ ამაღლდეს ადგილობრივი საბჭოების, მათი მუდმივი კომისიების, დეპუტატების ყურადღება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და ვაჭრობის საკითხებისადმი, რეგულარულად განიხილონ საბჭოების სესიებზე, აღმასრულებელი კომიტეტებისა და მუდმივი კომისიების სხდომებზე, თუ რაგორ სრულდება ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებით დაწესებული ამსობრივი მოთხოვნის საქონლის წარმოების დავალებანი.

სხდომაზე განიხილეს საკითხი პერმის ოლქში სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუდმივი კომისიებისა და სახალხო კონტროლის ორგანოების თანამონაწილეობის შესახებ. ამ საკითხზე გამოსულნსას პერმის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ **ა. ხ. მალაფეევმა** ილაპარაკა მუდმივი კომისიებისა და სახალხო კონტროლიორების თანამონაწილეობის, საწარმო-ორგანიზაციათა მუშაობის შემოწმებაში მათი მეცადინეობის კოორდინაციის შეძენილი გამოცდილების შესახებ. მუდმივი კომისიებისა და სახალხო კონტროლის ორგანოებს ნაყოფიერი თანამშრომლობა, აღნიშნა ორატორმა, კონტროლს უფრო ქმედითს ხდის, ანიჭებს ამ მუშაობას გეგმაზომიერ ხასიათს, აძლიერებს ბრძოლას უყაირათობის გამოვლინებათა და ბოროტმოქმედების წინააღმდეგ.

ამ საკითხთან დაკავშირებით გამოსულისას **ვ. ვ. კუზნეცოვმა** ხაზი გაუსვა, რომ მუდმივი კომისიებისა და სახალხო კონტროლის ორგანოების კარგად ორგანიზებული თანამოქმედება შესაძლებლობას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ პარალელიზმი მუშაობაში, უზრუნველყოფს კონტროლის ეფექტიანობას, ხელს უწყობს საქმის მდგომარეობის გაუმჯობესებას საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, ვაჭრობისა და სახალხოგანრივი კვების ორგანიზაციებში. ყურადღება მიეპყრო იმას, რომ საჭიროა გაძლიერდეს საბჭოების მუშაობა სახალხო კონტროლის საქმიანობის წარმართვის, იმ მითითებათა განუხრელი შესრულების საქმეში, რომელიც დასახულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „სსრ კავშირში სახალხო კონტროლის კანონის მიღებასთან დაკავშირებით სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და მათდამი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოიწონა პერმის ოლქის საბჭოების მიერ მუდმივი კომისიებისა და სახალხო კონტროლის ორგანოების თანამოქმედების ორგანიზაციისათვის გაწეული მუშაობის გამოცდილება და დაავალა პერმის საოლქო საბჭოს განახორციელოს ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, უზრუნველყოს სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი ხელმძღვანელობის დონის შემდგომი ამაღლება. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს რჩეკა მიეცათ რეგულარულად მოისმინონ თავიანთ სესიებზე სახალხო კონტროლის ორგანოების ანგარიშები, მათი ინფორმაცია სამუშაოებლო დისციპლინის მდგომარეობის, შემოწმებათა შედეგებიდან გამომდინარე უმნიშვნელოვანესი საკითხების შესახებ. დროულად განიხილონ სახალხო კონტროლის კომიტეტებისა და ჯგუფების წინადადებანი, რეგირება მოახდინონ გამოვლენილ ნაკლოვანებებზე, უზრუნველყონ სახალხო კონტროლიორთა უფლებების კანონით დაწესებული გარანტიების დაცვა.

სხდომაზე განიხილეს აგრეთვე საკითხი „შრომის ვეტერანის“ მედლით მშრომელთა დაჯილდოების მდგომარეობის შესახებ, სახელმწიფო ცხოვრების ზოგიერთი სხვა საკითხი.

დღის წესრიგის საკითხთა განხილვაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ვ. ვ. გრიშინი, დ. ა. კუნაევი, გ. ვ. რომანოვი, ვ. ვ. შჩერბიცკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები ჯ. მ. მაშეროვი, შ. რ. რაშიდოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. კაპიტონოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები ა. თ. ვატჩენკო, კ. თ. ილიაშენკო, ი. გ. კებინი, ი. ე. პოლიაკოვი და ბ. ე. სარკისოვი, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. ნ. სმირნოვი, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე ა. მ. რეკუნკოვი.

(საკადრ).

ჯილდო გვაკვალებს

სამგზის ორდენოსანი აჭარის მშრომელებს დიდი დღესასწაული დაუდგათ: აჭარის ასს რესპუბლიკას გადაეცა საპატიო ჯილდო — სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც მას მიენიჭა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი შედეგების მოპოვებისა და ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1979 წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

ამ საზეიმო დღეს აჭარის მშრომელთა ფიქრები და მისწრაფებები მიმართულია მშობლიური კომუნისტური პარტიის, მისი გამოჩენილი ხელმძღვანელის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი. სიტყვა, რომელიც ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა წარმოთქვა ქალაქ მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინაშე, გამსჭვალულია უდიდესი ზრუნვით ადამიანისათვის და საბჭოთა ადამიანებს აღავსებს იმის ღრმა რწმენით, რომ მათი მშვიდობიანი შრომა საიმედოდ არის დაცული, რომ ამ ‹ახალ ათწლეულშიც› ქვეყანა ახალ წარმატებებს მიაღწევს კომუნისტური მშენებლობაში.

ავტონომიურ რესპუბლიკაში მომხდარი თვისებრივი გარდაქმნები ყველაზე მკაფიოდ სახალხო-სამეურნეო მაჩვენებლებით გამოიხატება. ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია 40 მილიონი მანეთის და რეალიზებულია 24 მილიონი მანეთის მრეწველობის პროდუქცია. წარმოების მოცულობის ზრდის ტემპმა 4 პროცენტით გადააჭარბა ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ მაჩვენებლებს.

ავტონომიური რესპუბლიკა სამართლიანად ამაყობს სოფლის მეურნეობის განვითარებაში მოპოვებული წარმატებებით. მიმდინარე ხუთწლედში ჩაის ფოთლის დამზადება გადიდდა 27 პროცენტით, ციტრუსისა — ერთიორად და მეტად.

ხუთწლედის წლები ადამიანთა დამჭირველური თავდადებული შრომით აღინიშნა. მაგრამ ყველაზე ნაყოფიერი და შედეგიანი იყო 1979 წელი. გამოშვებულია 9,4 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. წინა წელთან შედარებით წარმოების მოცულობის ზრდის ტემპმა 6,2 პროცენტი შეადგინა.

აჭარას, როგორც ციტრუსის ძირითად მწარმოებელს, გადამწყვეტი როლი ეკუთვნის მისი წარმოების გადიდების საქმეში, როგორც ამას მოითხოვს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდების ღონისძიებებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების შესახებ“.

ყოველივე ამის შესახებ მიმდინარეობდა სკა-ბაასი აჭარის მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო კრებაზე, რომელიც სამშობლოს საპატიო ჯილდოს გადაცემის აღსანიშნავად გაიმართა 29 თებერვალს ბათუმში.

საზეიმო კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეფროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. რ. პაპუნიძემ.

უდიდესი აღმავლობით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ნ. ჯიდლოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემას მიეძღვნა ქალაქის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივის კრება, რომელიც ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრში გაიმართა.

კრებაზე გამოსვლისას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა გულითადად მიულოცა ქუთაისის მშრომელებს ჯილდო და გადასცა ქალაქს წარმომადგენლებს გარდამავალი წითელი დროშა. მან ყველა ქუთაისელს უსურვა ახალი წარმატებანი სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებაში.

კრებაზე საპასუხო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. დ. რუხაძემ. მან ქალაქის მშრომელთა სახელით მაღლობა მოახსენა პარტიას და თავიდან შრომის მაღალი შეფასებისათვის და აღუთქვა, რომ ყველაფერს იღონებენ, რათა შეინარჩუნონ დროშა, ვადამდე შეასრულებენ ხუთწლიანი გეგმის ყველა დავალებას. მტკიცე საფუძველს ჩაუყრიან მეთერთმეტე ხუთწლედს.

კრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა ქალაქის ყველა მშრომელისადმი და მისასალმებელი წერილი გაუგზავნეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს. (საქინფორმი).

ზრდა დაუფასდათ

ჯუთაისი. ქუთაისელები კანონიერი სიამაყის გრძნობით ავლებენ გონების თვალს წარმატებებს, რომლებიც ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე მოიპოვეს. მათ ჯერ კიდევ გასული წლის 27 ნოემბერს შეასრულეს ხუთწლედის ოთხი წლის გეგმა. 1979 წლს ქალაქის მშრომელებმა, რომლებიც უჩამორჩენილებად მუშაობდნენ, სამშობლოს გეგმის გადამტეხებად მისცეს 8 მილიონი მანეთის პროდუქცია. წარმოების ზრდის ტემპმა წინა წელთან შედარებით შეადგინა 5,7 პროცენტი, რაც მნიშვნელოვნად სჭარბობს საკავშირო დავალებას და სოციალისტურ ვალდებულებას. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე ნაწარმის ნომენკლატურის, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების, მოკავშირეებისა და რენტაბელობის, შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებანი და ა. შ. ქალაქის მრეწველობა ახლა უშვებს 212 დასახელების სახელმწიფო ხარისხის ნიშნიან პროდუქციას, რომლის ხვედრითმა წილმა წარმოების საერთო მოცულობაში 30 პროცენტს გადაამტა. მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს საამშენებლო ორგანიზაციებმა, ვაჭრობისა და მოსახლეობის სააყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს საწარმოთა კოლექტივებმა.

რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული ცენტრის მშრომელები გულითადად მაღლობას მოახსენებენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს ჯილდოს მიბაძვისა და ყოველმხრივ მეგზურობისათვის და აღუთქვამენ პარტიას და მთავრობას, პირადად ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, რომ ახალი შრომითი წარმატებებით უპასუხებენ სამშობლოს საპატიო ჯილდოს, რომელიც ქალაქ ქუთაისს 1979 წლის ზეიდიდ მეექვსედ მიენიჭა მუშაობის მაღალი მაჩვენებლებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მარტს 75 წლისა გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

მიხეილ ნიკოლოზის ძე მრევლიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი | საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

მიხეილ მრევლიშვილის დასაკრძალავად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შექმნა კომისია

ბ. ბ. აბაშიძის თავმჯდომარეობით. მ. ნ. მრევლიშვილის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

სრულყოფთ საგუალტრო აღრიცხვის ორგანიზაციას

„საგუალტრო აღრიცხვის ორგანიზაცია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში და მისი როლის ამაღლება მატერიალური, შრომითი და საფინანსო რესურსების რაციონალურ და მიმჭირნე გამოყენებაში“ — ამ თემას მიეძღვნა თათბირ-სემინარი, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა.

თათბირ-სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სამინისტროთა, უწყებათა, საწარმო-ორგანიზაციათა ხელმძღვანელები და მთავარი ბუღალტრები, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან არსებული საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების მეთოდოლოგიური საბჭოს წევრები, აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანების მუშაკები, საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალისტები, მეცნიერები.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნ. ა. ჭითაძეგამ, თანამოხსენება — საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ვ. ს. ზურაბიშვილმა.

კამათში მონაწილეობდნენ მთავარი ბუღალტრები: საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს „თბილისტალა ქმშ ენის“ გაერთიანების — ვ. რ. შუშანოვი, თბილისის ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ინსისა“ — ნ. ე. ჩხარტიშვილი, ქალაქ თბილისის ოჯახოვანების რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს განათლების განყოფილების ცენტრალიზებული ბუღალტერიისა — ვ. კ. წიტაიშვილი, რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსი — ნ. გ. არახამია, რესპუბლიკის საბუღალტრო სამსახურის ვეტერანი დ. ი. პოკადაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტები გ. ა. ბიგვავა, გ. ნ. გურგენიძე.

თათბირ-სემინარის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში საბუღალტრო აღრიცხვის სრულყოფის მთელი რიგი ღონისძიებანი განხორციელდა. გაუმჯობესდა მისი მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, ამაღლდა ქმედითობა. გაფართოვდა აღრიცხვის მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებათა გამოყენება. შექმნილია ცენტრალიზებული ბუღალტერიები.

ამასთანავე, როგორც თათბირ-სემინარზე აღინიშნა, ზოგიერთი სამინისტრო, უწყება, საწარმო, ორგანიზაცია ჯერ კიდევ არ უთმობს სათანადო ყურადღებას საბუღალტრო აღრიცხვისა და მატერიალურ-საფინანსო რესურსების სწორი გამოყენებისადმი კონტროლის ორგანიზაციის გაუმჯობესების საკითხებს, ჯეროვნად არ გაუძღიერებია ბრძოლა ეკონომიკურ-ფინანსური ბოროტმოქმედების, მფლანგველობის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი სახსრების არადანიშნულებისამებრ ხარჯვის წინააღმდეგ.

აღინიშნა, რომ ბუღალტერიის, საფინანსო ორგანოების მუშაკები ჩვენი ეკონომიკის გაზრდილი მოთხოვნების მოწოდების სიმაღლეზე უნდა იყვნენ, უზრუნველყოფდნენ მანეთით კონტროლს, აგრეთვე მთელი სამეურნეო მექანიზმის რიტმულ ფუნქციონირებას. ამავე დროს ისინი მოვალენი არიან იბრძოლონ მატერიალური, შრომითი და საფინანსო რესურსების მიმჭირნე გამოყენებისათვის, აქტიურად მონაწილეობდნენ გეგმების შესრულების მიმდინარეობისა და საგეგმო დავალებების, ნორმატივების და ხარჯთაღრიცხვებისაგან გადახრის მიზეზების ამსახველი საჭირო ინფორმაციის შეგროვებაში.

თათბირ-სემინარის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ზ. ა. ჩხეიძემ.

თათბირ-სემინარის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საგეგმო და საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგე ნ. ვ. სანთელაძე.

(სინფორმი).

„კომუნისტს“ უპასუხებენ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

„შინაგანელთა სატკივარი“ — ამ სათაურით დაბეჭდილი საკუთარი კორესპონდენტის ვ. ცირეკიძის წერილი შეეხებოდა გზის მშენებლობის გაშიანურებას, სოფლის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების [illegible] ლებელთა დახელოვნების საკითხს, პრაქტიკული ნაბიჯი უკვე გადაიდგა. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა შეფობა იკისრა ყაზბეგის რაიონისადმი; მიმდინარე წლისათვის რაიონის პედაგოგთათვის დაგეგმა სამი ჯგუფი: სკოლამდელი, ქართული ენისა და ლიტერატურის, დაწყებითი სკოლების მასწავლებლებისა. მათ ადგილზე მოემსახურებიან დახელოვნების ინსტიტუტის ლექტორები.

ამბროლაურის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი

„შინაგანელთა სატკივარი“ — ამ სათაურით დაბეჭდილი საკუთარი კორესპონდენტის ვ. ცირეკიძის წერილი შეეხებოდა გზის მშენებლობის გაშიანურებას, სოფლის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების [illegible] ლებელთა დახელოვნების საკითხს. პრაქტიკული ნაბიჯი უკვე გადაიდგა. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა შეფობა იკისრა ყაზბეგის რაიონისადმი; მიმდინარე წლისათვის რაიონის პედაგოგთათვის დაგეგმა სამი ჯგუფი: სკოლამდელი, ქართული ენისა და ლიტერატურის, დაწყებითი სკოლების მასწავლებლებისა. მათ ადგილზე მოემსახურებიან დახელოვნების ინსტიტუტის ლექტორები.

ამბროლაურის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი

როგორც აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ჩიტალაძემ ვანაცხადა, 1980 წლის 11 თებერვალს, აღმასკომმა საგანგებოდ იმსჯელა ამ საკითხზე.

სოფელ ზხივანის ცენტრამისასვლელი ორი კილომეტრი გზის შეკეთება საგზაო მშენებლობაში სავალდებულო შრომითი მონაწილეობის წესით დაევალათ ამბროლაურის მექანიზებული სატყეო მეურნეობისა და საქსახსოფლტექნიკის ქარხნეულებებს (უფროსები — ე. ჭოხონელიძე და ვ. ქემოკლიძე), ხოლო რაიხაბჭოს აღმასკომის საგზაო-საწარმოო უბნის უფროსს პ. ბაკურაძეს დავალა მიმდინარე წლის ბოლომდე უზრუნველყოს ხოტევ-ვალევის გზის სამუშაოების დამთავრება. გათვალისწინებულია წერილში აღნიშნული სხვა ნაკლოვანებების აღმოფხვრა, ჟელევის სასოფლო-საბჭოში შემავალი სოფლების, მათ შორის ზხივანის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება; ტრაქტორებითა და ცოცხალი გამწევი ძალით გაუსხეპავი ხე-მორების [illegible] ტყეგადაზიდვათვის, რასაც [illegible] ტყეობიდან გამოიტანს გზა, საკალმეურნეო სახერხში დამკვიდრებული უწესრიგობისა და ხე-ტყის აღურიცხაობისათვის ველევის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ა. ნიკალაიძისა და კომ[illegible] თავმჯდომარეს [illegible] ტყეგადაზიდვა.

თბილისის ლენინის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი

„რუსებს მშვიდობა სურთ“

ნიუ-იორკი, 4 მარტი. ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანი წრეების თვალსაჩინო წარმომადგენელმა, „ოსდენტალ პეტროლეუმის“ ფირმის პრეზიდენტმა ა. ჰამერმა ენ-ბი-სის სატელევიზიო კომპანიისათვის მიცემულ ინტერვიუში ილაპარაკა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან ლ. ი. ბრეჟნევთან ამასწინანდელი შეხვედრის შესახებ.

დარწმუნებული ვარ, თქვა მან, რომ რუსებს სურთ მშვიდობა. ჯერ კიდევ წლინახევრის წინათ, როცა იალტაში მივიღო, ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, რომ ძალ-ღონე არ დაიშურებს მშვიდობის შენარჩუნების საქმისათვის, და მე მჯერა ეს. მან გამოიარა ყაზანასკენელი ომი. თქვენ კი იცით, რომ რუსებმა ამ ომში 20 მილიონი კაცი დაკარგეს, და მათ არ სურთ ომი.

კითხვაზე, თუ რა პოზიციას აღგას საბჭოთა კავშირი ავღანეთის მიმართ, ა. ჰამერმა უპასუხა, რომ „ეს პოზიცია სრულიად გარკვეული ჩამოაყალიბა თავის გამოსვლაში ლ. ი. ბრეჟნევმა, რომელმაც განაცხადა, რომ სსრ კავშირი ამბობს თავისი ჯარის კონტინგენტებს ავღანეთიდან, როგორც კი მოისპობა მათი იქ ყოფნის გამომწვევი მიზეზები, მთლიანად შეწყდება გარეედან ყოველგვარი ჩარევა, ამერიკის შეერთებული შტატები კი ავღანეთის მეზობლებთან ერთად ეზრუნველყოფს ამას.

ეს პოზიცია ლ. ი. ბრეჟნევმა დაადასტურა ჩვენი საუბრის დროს, — თქვა ა. ჰამერმა, — და არავითარი საფუძველი არა გვაქვს ეჭვი შევიტანოთ ასეთ განცხადებათა გულწრფელობაში. სსრ კავშირის პოზიცია ჩამოყალიბებული იყო „პრავდის“ პირველ გვერდზე, რომელსაც გაეცნენ ორა მარტო მილიონობით პარტიის წევრი, არამედ მთელი საბჭოთა ხალხიც, აგრეთვე აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მოსახლეობა. ამიტომაც არ შეიძლება სხვაგვარად ვფიქრობდეთ: სსრ კავშირი არ დაარღვევს თავის „აქვეყნილ გამოცხადებულ დანიერებას“.

ლ. ი. ბრეჟნევმა, თქვა შემდეგ ა. ჰამერმა, გვაცნობა, რომ ავღანეთს საბჭოთა მთავრობისათვის არაერთხელ ეთხოვნია სამხედრო დახმარება გარეშე საფრთხის თავიდან ასაცილებლად, და მჯერა, რომ ასეც იყო, ერთადერთი მოსაზრება, რომლითაც სსრ კავშირი ხელმძღვანელობდა ავღანეთში ჯარების შეყვანის გადაწყვეტილების მიღების დროს, მეგობარი ავღანეთის სახელმწიფოს პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა გახლდათ.

ა. ჰამერმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, რომ „სრული აბსურდია“ დასავლეთში გავრცელებული მტკიცებანი, თითქოს საბჭოთა კავშირი ირანსა და პაკისტანში შეჭრას „ესსრაფოდეს“ სპარსეთის ყურის ნავთობის საბადოების ხელში ჩაგდების მიზნით.

შემდეგ მან განაცხადა: თუ ამერიკის შეერთებული შტატები მიიღებს ლ. ი. ბრეჟნევის წინადადებებს, თუ შეკვანარჩუნებთ კავშირთანიერთობის არხებს, შესაძლებელი გახდება ვითარების განმუხტვა. როცა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, რომ ესსრაფვის ჯარების გაყვანას, ჩემი აზრით, შეეძლებოდით ხელი შეგეწყო ამისათვის. თუ მისი წინადადებების საფუძველზე ვიმოქმედეთ.

ინდირა განდის განცხადება

პარიზი. 4 მარტი. ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ გაზეთ „მატენისადმი“ ინტერვიუში განაცხადა: ახლანდელი საერთაშორისო ვითარება ძალზე რთულია. დასავლეთი ყველაფერს უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირს ამრალებს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ თავად დასავლეთი სულაც არ უწყობს ხელს დაძაბულობის შენელებას. მან უდიდესი მასშტაბით გააფართოვა საომარი საშზადისი, ეერძოდ, ეს ეხება შეერთებული შტატების მოქმედებას ინდოეთის ოკეანეში. ჩვენ კი არ გვინდა არავითარი ომი. ჩვენ ვიბრძვით ეროვნული [illegible] ეროვნული [illegible] ... ეროვნული [illegible] ... ეროვნული [illegible] ...

სიტყვა პოლიტ-ინფორმატორზე

გავამართლოთ ნდობაც, იმედიც

კაბინეტში საშუალო რგოლის ხელმძღვანელებს, სპეციალისტებს მოეყარათ თავი. პირუტყვის გამოზამთრების დაწყების პირველ შედეგებს განიხილავდნენ. მეურნეობის დირექტორმა რუსლან ჭოხონელიძემ ერთხელ კიდევ შეახსენა თანამებრძოლებს, რომ ზამთარი მეცხოველეთა ყველაზე მკაცრი გამომცდელია, და ყურადღებას ნუ მოაღუნებთ, გამოზამთრების კარგად დაწყების შედეგად თვითკმაყოფილების გრძნობამ არ შეგიპყროთ, თორემ ის, რაც დღემდე გავაკეთეთ, შეიძლება წყალში ჩაგვეყაროსო.

— რა არის ამჟამად ჩვენთვის მთავარი? — დასვა კითხვა მან და თვითონვე უპასუხა, — ზამთარშიც შევინარჩუნოთ მეცხოველეობის პროდუქტიულობის მაღალი დონე.

მეურნეობაში ორი სარძეო ფერმის გარდა დიკეულების გამოსაზრდელი კომპლექსიც არის, იგი გათვალისწინებულია 2.100 სულისათვის, ამჟამად 1.800-მდე სული ჰყავთ. კომპლექსს მეცხოველეობის განვითარებისათვის ფრიად მნიშვნელოვანი საქმე აკისრია. აქ რაიონის ყველა მეურნეობიდან იღებენ ხბოებს, სანიმშოდ ყოველან და მერე დეკეულებად გამოზრდილს, დაჯილდებულს ქვლა მეურნეობებს უბრუნებენ. ეს რთული საქმეა და, ცხადია, სიძნელეებიც ახლავს, მაგრამ ხელმძღვანელებს, სპეციალისტებს მხარში უდგანან იდეოლოგიური მუშაობი — სამეურნეო მუშაკთა უმეტესობა კარგად უთავსებს ერთმანეთს ორგანიზატორულ და იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობას.

სამეურნეო და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ერთიანობის განმტკიცება დროის მოთხოვნაა. ეს მითითებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, რომლის მოთხოვნების გათვალისწინებლად ვერც ერთი იდეოლოგიური მუშაკი წარმატებით ვერ იმუშავებს.

...იმ დღეს პირუტყვის საკვები კულტურების დასათესად განკუთვნილ მინდვრებში მეურნეობის მესამე ბრიგადის წევრი ქალშვილები და ჭაბუკები ვენის აგროვებდნენ, მერე მანქანებზე, ტრაქტორის მისაბმელებზე ყრიდნენ და მინდვრებიდან გაჰქონდათ, ნაადგილ ახალი მოსავლის მისაღებად ამზადებდნენ.

დღეს გასაკეთებელს ხვალისათვის ნუ გადავდებთ! — შეჯიბრების ამ დევიზს ბრიგადის ყველა წევრი ერთსულოვან კოლექტივად შეუკრავს. შესვენების დრო რომ დადგა, ბრიგადის წევრებმა მზის გულზე მოიყარეს თავი. ნაჯფარ ადამიანებთან პოლიტინფორმატორი ბიძინა გოლუბიანი მოვიდა. იგი ერთ-ერთი იმათგანია, ვინც მეურნეობაში აგროგანყოფილების მმართველის მოვალეობის შესრულებას ჩინებულად უთავსებს პოლიტინფორმატორობას, მშრომელებს აცნობს ახალ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ მოვლენებს, ეხმარება პირადი გეგმის, ამოცანის განსაზღვრასა და შესრულებაში. ამჯერად ბრიგადის წევრებს გააცნო სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „1979-1980 წლების ზამთრის პერიოდში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის მეცხოველეობის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ“

შემდეგ ბრიგადის წევრებს შორის გაიმართა საქმიანი მსჯელობა იმაზე, თუ ვინ რას გააკეთებს და როგორ იზრუნებს ამ დადგენილების შესრულებისათვის.

მშრომელებს სჯერათ თავიანთი პოლიტინფორმატორის სიტყვისა. აი, რა აზრისაა მასზე ბრიგადირი ჯემალ გოგოლაძე:

— ბიძინა გოლუბიანი ხშირად დადის ჩვენთან, გვაცნობს ქვეყნის ახალ ამბებს, საერთაშორისო ვითარებას, ამას კარგი შედეგი მოაქვს, გაზრდილი მოთხოვნების შესაბამისად მტკიცდება დისციპლინა, იზრდება მშრომელთა აქტიურობა, მაღლდება პასუხისმგებლობა. ახლა ფარფობს ქვაღორღისაგან ვასუფთავებთ, ამით ორ საქმის ვაკეთებთ, ჯერ ერთი, ყოველგვარი ზედმეტობისაგან გაწმენდილი ნიადაგი უფრო კარგი დასამუშავებელია და მერე მოსავალს ადვილია. ეს ამ ბოლო ხანებში უფრო ომატი ეკეთებოდა, ახლა ეს ბოლო ხანებში უფრო ომატი კიდეც და, რაც ყველაზე საამაყოა, ყველა ერთად ვმუშაობთ, ერთ-ერთ ადგილზე ვართ, ერთ ადგილზე ვიმეორებ, ერთ ადგილზე ვიმეორებ, ერთ ადგილზე ვიმეორებ

მეცნიერების მეგზური



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ელიზბარ მინდელი იმ თაობის წარმომადგენელია, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის მძიმე მრეწველობის განვითარებაში. ტექნიკური პროგრესის პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა ჩამოყალიბებასა და სამრეწველო გიგანტების შექმნაში.

ე. მინდელის, როგორც სახელმწიფო მოღვაწის, საქმიანობა, უპირველეს ყოვლისა დაკავშირებული საბჭოთა კავშირის ქვანახშირის მრეწველობის განვითარებასთან, ახალი ტიპის შახტებისა და სამთო საწარმოთა მშენებლობასთან. მან თავისი დიდი პრაქტიკული საინჟინრო საქმიანობა შეუხამა სამთო მეცნიერების აქტუალური ამოცანების გადაწყვეტას.

ე. მინდელმა 1931 წელს დაამთავრა ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტი და საბჭოთა კავშირის მოსკოვში მეტროპოლიტენის მშენებლობაზე. აქ მან თავი გამოიჩინა როგორც უნარიანმა კვალიფიციურმა ახალგაზრდა სპეციალისტმა. მალე იგი დაწინაურეს მოსკოვის მეტროპოლიტენის მშენებლობის ხელმძღვანელ თანამდებობაზე.

1942-1954 წლებში მას ეკავა სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრის მოადგილის, ხოლო შემდეგ სსრ კავშირის სათბობის საწარმოთა მშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობა. ამ პერიოდში სრულად გამოვლინდა ე. მინდელის საინჟინრო-ორგანიზატორული ნიჭი. მისი უშუალო ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირში შეიქმნა ქვანახშირის მრეწველობის ახალი ობიექტები, აშენდა მაღალმწარმოებლური შახტები და საწარმოები, რომლებიც თანამედროვე მოწყობილობითა და სამთო მანქანებით აღიჭურვა.

ეს ის პერიოდი იყო, როცა ქვანახშირის მრეწველობის წინაშე უაღრესად დიდი და პასუხსაგები ამოცანა იდგა — მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის სხვა დარგების უზრუნველყოფა ასმილიონნაბი ტონა საკოქსე და ენერგეტიკული ქვანახშირით.

ამ დიდი ამოცანის გადაწყვეტა დაკავშირებული იყო საშახტო მშენებლობის ფართო ფრონტით გაშლასთან, დონეცკის, კუზნეცკის, ყარაგანდის, მოსკოვის ოლქისა და საბჭოთა კავშირის ქვანახშირის სხვა აუზებში. ამ საქმეს წარმატებით ხელმძღვანელობდა ე. მინდელი.

დიდი სამამულო ომის პერიოდში დონეცკის აუზის დრეობითი ოკუპაციის შემდეგ მწვავედ დაისვა ქვანახშირის საბჭოვების სიმძიმის ცენტრის საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთ რაიონებში გადანაცვლების საკითხი, ამ მიზნით აშენდა ახალი სამთო საწარმოები ურალსა და ყაზახეთში. ეს ამოცანა ურთულესი ამოცანა იყო. ეს ამოცანა ეკისრა ე. მინდელს. ეს ამოცანა ეკისრა ეკონომიკურ-ეკონომიკურ-ეკონომიკურ-